მოთელვის აქტივობები ინგლისური ენის გაკვეთილებისთვის

ავტორი [მანანა კაპეტივაძე]

საგაკვეთილო პროცესის ეფექტურობისთვის ხშირად გამომიყენებია სახალისო აქტივობები, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და მოსწავლეებს დადებითად განაწყობს სასწავლო პროცესის მიმართ. ჩემი გამოცდილებიდან მინდა გაგიზიაროთ რამდენიმე Warm up-მოთელვის აქტივობა, რომელსაც წარმატებით ვიყენებ. ისინი ბავშვებსაც ძალიან უყვართ.

სანამ უშუალოდ მოთელვის აქტივობაზე გადავალ, მინდა გითხრათ, რომ მოთელვა აუცილებელი არაა, უკავშირდებოდეს გაკვეთილის თემას, ის შეიძლება იყოს დამოუკიდებელი აქტივობა, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს, მოემზადონ გაკვეთილისთვის და დაიწყონ ფიქრი ინგლისურ ენაზე.

პირველი მოთელვის აქტივობა: The New Me – „ახალი მე“

სთხოვეთ მოსწავლეებს ჩამოწერონ ციფრები 1-დან 6-მდე. შესაბამის ციფრთან დაწერონ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

Write any fruit name. (მაგ. Apple)

Write any vegetable name. (მაგ. Cabbage)

Write any number from 1-100. (მაგ. 17)

Write the answer to the question: Do you like soccer? (Yes)

How many pens/pencils do you have in your bag? (Three)

What is the first thing you do in the morning? (Snooze alarm)

შემდეგ აუხსენით მოსწავლეებს, რომ სინამდვილეში ამ კითხვების პასუხები შეესაბამება:

1 – თავიანთ სახელს;

2 – გვარს;

3 – ასაკს;

4 – დაქორწინებულია თუ არა;

5 – შვილების რაოდენობას;

6 – პროფესიას.

როდესაც მოსწავლეები დააკავშირებენ პასუხებს და გახდებიან „ახალი პერსონები – ახალი „მე“, მოუწოდეთ ყველას ადგნენ და დაიწყონ ერთმანეთის გაცნობა, როგორც ახალი პიროვნების. სთხოვეთ მოსწავლეებს, რაც შეიძლება მეტი „ახალი ადამიანი“ გაიცნონ, და აუცილებლად გამოიყენონ სახის მიმიკა, ხელის ჩამორთმევა, ისევე როგორც რეალური გაცნობისას. დაუთმეთ 5-7

წუთი ამ აქტივობას და გააკეთეთ შეჯამება, რამდენად ყურადღებით იყვნენ სხვების გაცნობისას. დაუსვით ინდივიდუალურად ისეთი შეკითხვები, როგორიცაა: Did you meet anyone whose job is alarm snoozing? ან What is the name of the person you met first?/ How many children does s/he have? და ა.შ. განმტკიცებისთვის შეგიძლიათ საშინაო დავალებად მისცეთ – საწერი თემა „ახალი მეს“ შესახებ, მოიფიქრონ კრეატიული ისტორია თავიანთ „ახალ“ ოჯახზე. ეს აქტივობა გათვლილია ძირითადად მოსწავლეებზე მე-7 კლასიდან ზევით. ასეთი აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების კრეატიული აზროვნების და სოციალური უნარების განვითარებას. ლაპარაკის მომენტში ისინი იგონებენ საინტერესო კითხვებსა და პასუხებს, ხდებიან უფრო თავდაჯერებულნი და აქტიურად ერთვებიან საუბარში.

შემდეგი აქტივობა „ Coffeepot Game” – შეგიძლიათ გამოიყენოთ რომელიმე გრამატიკული მასალის ან უბრალოდ ლექსიკის მარაგის გასამტკიცებლად. ის ასევე ეხმარება მოსწავლეებს, მოახდინონ ნასწავლი სიტყვის დეფინიცია. გთავაზობთ ამ აქტივობის ორ ვარიანტს:

ერთი მოსწავლე გაუშვით გარეთ, რომ არ გაიგონოს, რომელი სიტყვა (არსებითი სახელი, ზმნა თუ ზედსართავი სახელი) ჩაიფიქრეთ კლასთან ერთად. ავიღოთ მაგ. ზმნა – type. მოსწავლეებთან ერთად თქვენ უნდა მოიფიქროთ წინადადებები, რომლებიც მიანიშნებს ან განმარტავს ამ სიტყვას და „გაძევებულმა“ მოსწავლემ შემოსვლისას უნდა გამოიცნოს იგი. თქვენ შეგიძლიათ ჩაფიქრებული სიტყვა კოდირებული ვერსიით „coffeepot”-ით ჩაანაცვლოთ.

მაგალითისთვის: Our teacher can “coffeepot” very fast. ან: I often “coffeepot” informal letters to my friends. “Coffeepotting” needs your fingers to move fast. We usually “coffeepot” on the computer keyboard. მოსწავლე ცდილობს გამოიცნოს ჩაფიქრებული სიტყვა.

მოხალისე მოსწავლე თავად ჩაიფიქრებს სიტყვას და კლასი ცდილობს გამოიცნოს მისი მნიშვნელობა მოსწავლის წინადადებებიდან. მაგ. knit: My mom “coffeepots” almost every evening. She needs thread for “coffeepotting”. I am wearing her “coffeepotted” sweater right now.

ამ აქტივობის დროს მოსწავლეებს შეუძლიათ კითხვების დასმა, რათა დააზუსტონ გამოსაცნობი სიტყვა. ეს კი ხელს უწყობს მათი კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

კიდევ ერთი მოთელვის აქტივობა – One minute, please! ეს აქტივობა ხელს უწყობს სალაპარაკო და სოციალური უნარების განვითარებას. ამ აქტივობისთვის, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული აქტივობებისთვის, არაა საჭირო რამე რესურსების მომზადება – ის შეიძლება უცებ, სპონტანურად გააკეთოთ, თუ მაგალითად, გაკვეთილზე დრო მოგრჩათ და ზარის დარეკვამდე ხუთ წუთზე ნაკლები დარჩა. ეს აქტივობა შეგიძლიათ გამოიყენოთ ყველა კლასში, შესაბამისი ადაპტირებით. გჭირდებათ მოსწავლეების მობილიზება, რათა გონებრივი იერიშით მოახდინონ იმ თემების ჩამოთვლა, რომლებიც მათ აინტერესებთ (ან ამ ბოლო ხანს შეისწავლეთ). დაწერეთ ეს თემები დაფაზე (4-5 საკმარისი იქნება). სთხოვეთ ერთ მოხალისეს იყოს time keeper, რომელიც დაიცავს დროს. (დრო შეგიძლიათ თავად დაადგინოთ ისევ და ისევ მოსწავლეების დონიდან გამომდინარე). მაგ. მე-3-4 კლასელისთვის 20–30 წამი, მე-5-6 კლასელისთვის 30-40 წამი, და ა.შ.

შესთავაზეთ კლასს აირჩიონ ჩამოწერილი თემებიდან ერთი და სთხოვეთ ყველაზე გაბედულ, მოხალისე მოსწავლეს გამოვიდეს კლასის წინაშე და შერჩეულ თემაზე ილაპარაკოს ყველაფერი, რაც თემის ირგვლივ იცის 1 წუთის (ან ნაკლების) განმავლობაში. პაუზა არ უნდა აღემატებოდეს 5 წამს. უთხარით, რომ ლაპარაკის დროს ნაკლებად ექცევა ყურადღება გრამატიკას, მთავარია

სწორად გადმოსცენ სათქმელი. Time keeper ინიშნავს დროს და მოქმედებაც იწყება. ლაპარაკი უნდა შეწყდეს დათქმული დროის ამოწურვისთანავე. აუცილებლად სთხოვეთ სპიკერს, გამოთქვას თავისი აზრი, რას გრძნობდა ლაპარაკის დროს, რას უფრო აქცევდა ყურადღებას – ბევრი ინფორმაციის გადმოცემას, თუ გრამატიკულად სწორად გადმოეცა სათქმელი. აუცილებლად მიეცით უკუგება და წაახალისეთ მოსწავლე. ეს არ არის ადვილი აქტივობა, განსაკუთრებით კი შედარებით სუსტი მოსწავლისთვის, მაგრამ თუ მას გააფრთხილებთ, რომ ყველაზე მეტად გინდათ მან აზრი სწორად გადმოსცეს და გრამატიკას არ აძლევთ უპირატესობას, ის აუცილებლად გაიხსნება და ილაპარაკებს. კომუნიკაცია ხომ ჩვენი სწავლების მთავარი მიზანია!

ინგლისური ენის ყველა მასწავლებელი გაკვეთილზე იყენებს, ეგრეთ წოდებულ, TPR აქტივობებს (Total Physical Response), ჯეიმს აშერის მეთოდს, რომლის მიზანია ფიზიკური მოქმედებებით გამოხატო ნათქვამი (ან ბრძანება). ყველამ იცის აქტივობა „Simon says…" სადაც მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ბრძანებებს და მოსწავლეები ამ ბრძანებებს ასრულებენ. თუ ბრძანება შეასრულე "Simon says…"-ის გარეშე, თამაშიდან გავარდები. მაგ:

Simon says: Touch your nose! – ბავშვები ეხებიან ცხვირს.

Simon says: Jump up high! – ბავშვები ხტებიან მაღლა.

Simon says: Sit down! – ბავშვები სხდებიან.

Stand up! – თუ ბავშვი Simon says-ის თქმამდე ადგა, თამაშიდან ვარდება.

ეს კარგი აქტივობაა პატარებისთვის, სადაც ხდება ყურადღების მობილიზება, ბავშვები უსმენენ ბრძანებებს და ასრულებენ ნათქვამს. მაგრამ, როგორ შეიძლება TPR აქტივობები გამოიყენო მაღალ კლასებში? გთავაზობთ ერთ საინტერესო და სახალისო აქტივობას – როლური თამაში მიმიკით (Mime Role Play).

მიეცით ორ მოსწავლეს როლი, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს უთხარით, რომ თითქოს დაკარგა ხმა და ვერ ლაპარაკობს. უთხარით, თუ რა სიტუაცია უნდა გაითამაშოს, მაგრამ ეს მისმა მეწყვილემ არ უნდა გაიგოს. მაგალითად:

1 მოსწავლის როლი: გსურს გაიგნო გზა აფთიაქამდე. ვინმეს უნდა ჰკითხო, როგორ მიაგნო ის, მაგრამ შენ ხმა წაგივიდა და ერთი სიტყვის თქმაც კი არ შეგიძლია.

2 მოსწავლის როლი: ქუჩაში შენ გაჩერებს უცნობი, რომელსაც სჭირდება გზის გაგნება, მაგრამ ამ ადამიანს არ შეუძლია ლაპარაკი. ასე რომ, შენ უნდა გაიგო მისი ჟესტების ენა, რომ გაიგო, სად უნდა მისვლა.

მოსწავლეები იწყებენ როლის გათამაშებას. შეგიძლიათ, დაუდგინოთ დრო, რამდენ ხანში უნდა მოახერხონ და გამოიცნონ მიმართულება. აქტივობა სახალისოა, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ უკვე ნასწავლი ფრაზები და სიტყვები, ასევე მოიფიქრონ შეკითხვის დასმის სწორი ფორმა.

ასეთი კრეატიული სახის აქტივობების დროს კლასში აუცილებლად იქნება ხმაური, ჟრიამული, ბევრი შეკითხვა და სიცილი, რისიც ნამდვილად არ უნდა შეგეშინდეთ. ბავშვები ხომ თამაშით უფრო ადვილად სწავლობენ და ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მათ შევუქმნათ სათანადო პირობები და სწავლისთვის სახალისო გარემო.

გამოყენებული მასალა:

მშვიდობის კორპუსის მოხალისეების აქტივობები

Busy Teacher – TPR Tricks – https://busyteacher.org/4246-tpr-tricks-5-fabulous-ways-to-use-total-physical.html